შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივსა და სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლას შორის 2021 წლის 29 დეკემბერს დადებული საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1. შეთანხმების ადგილი და დრო

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2022 წლის 27 იანვარს, ქ. კასპი.

მუხლი 2. შეთანხმების მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (შემდეგში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო კასპის ადგილობრივი არქივის დირექტორის მარინა გოგებაშვილის სახით და მეორე მხრივ სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის (შემდეგში - შემსყიდველი) წარმოდგენილი სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის მაია დაბრუნდაშვილის სახით.

მუხლი 3. შეთანხმების საგანი

2021 წლის 29 დეკემბრის საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, **კვარტალში ერთხელ**, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10 სამუშაო დღის ვადაში.**

მუხლი 4. დამატებითი პირობები

4.1. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, რჩება უცვლელი.

4.2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, ვრცელდება 2022 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და წარმოადგენს 2021 წლის 29 დეკემბერს დადებული საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

მუხლი 5. მხარეთა ხელმოწერები

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი	სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის
კასპის ადგილობრივი არქივის დირექტორი	დირექტორის მ/შემსრულებელი
მარინა გოგებაშვილი	**მაია დაბრუნდაშვილი**